ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2886822

ნომერი: AR1447126

თარიღი : 07.10.2016

გაცემის თარიღი : 18.10.2016

გაცნობის თარიღი : 18.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/10/2016წ. №AR1447126 განაცხადით მომართეს რამაზ ტვილდიანმა და კახაბერ გოზალიშვილმა და მოითხოვეს

ამავე სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე, №129, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.02.025.127) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 02/08/2016 წლიდან 02/08/2017 წლის ჩათვლით. განმცხადებელთა განმარტებით, სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის -4.2; -7.0 და -8.8 ნიშნულების გეგმებზე დაფიქსირებულია სართულების მთლიანი ფართობი, რის გამოც მოხდა ფართების განშლა, რაც აისახა ამავე სართულების გეგმებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელები ითხოვენ 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის -4.2; -7.0 და -8.8 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით. ამასთან, განშლაში მოცემული ფართობები ასახულია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და შესაბამისად, არ ხდება შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტში მოცემული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება.
სამსახურმა განმცხადებელთა მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებელთა მოთხოვნა და 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის -4.2; -7.0 და -8.8 ნიშნულების გეგმები ჩაანაცვლოს განმცხადებელთა მიერ 07/10/2016წ. №AR1447126 განაცხადით წარმოდგენილი იმავე ნიშნულების საპროექტო გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული – 4.2; -7.0 და -8.8 ნიშნულების საპროექტო გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებელთა მიერ 07/10/2016წ. №AR1447126 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების საპროექტო გეგმებით. სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/08/2016წ. №2753965 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.